სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

24541177483524

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240981382

რეგისტრაციის თარიღი

31.07.2024 წ

ნოტარიუსი: თამარ დადვანი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბნის I მკ/რ, კორპ.12 მიმდებარედ
ტელეფონი: 593374689

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდათერტმეტი ივლისი. მე ნოტარიუს თამარ დადვანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, მე-12 კორპუსის მიმდებარედ, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **შპს ბევრილი ჯგუფის (რეგისტრირებული 2001 წლის 14 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 208215821, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, N 101, მარეგისტრირებელი ორგანო: ისანი-სამგორის სასამართლო) დირექტორმა ნოდარ ფერცულიანმა (დაბადებული 25.06.1957 წელს, პირადი N 62001010896, მისამართი: თბილისი, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპ. 403, ბინა 181)** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით **www.reestri.gov.ge. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24059640, 14/05/2024 16:42:20.**

მან მთხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე შევადგინე წინამდებარე მინდობილობა და წავუკითხე მას. მე მას განვუმატრე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს თავისი, როგორც **შპს ბევრილი ჯგუფის** დირექტორის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რის შემდეგაც დავადასტურე წინამდებარე მინდობილობა სანოტარო წესით.

მინდობილობა

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდათერტმეტი ივლისი. მე, **შპს ბევრილი ჯგუფის** დირექტორი, **ნოდარ ფერცულიანი,** წინამდებარე მინდობილობით **შალვა ლეკიაშვილს (დაბადებული 27.04.1976 წელს, პირადი N 01017013777)** ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1. წარმოადგინოს **შპს ბევრილი ჯგუფი** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის ყველა სამსახურში, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ზედამხედველობის სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ქონების მართვის ეროვნული სააგენტოში, მიმნდობის სახელით წარადგინოს განცხადება და ყველა საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია, ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N 101 (ს/კ 01.19.24.003.045) მისამართზე მდებარე უძრავი ქონების სამშენებლო პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით, თავად განსაზღვროს წარსადგენი განცხადების და დოკუმენტაციის შინაარსი, შეავსოს დადგენილი ხარვეზები და აღნიშნული დავალების შესასრულებლად განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება. იგი ასევე, უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს ბევრილი ჯგუფი** სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“, მიმდნობის სახელით შეიტანოს განცხადება ნებისმიერი სახის ექსპერტიზის დანიშვნასთან (ჩატარებასთან) დაკავშირებით, დაუსვას კითხვები ექსპერტებს, წარადგინოს ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო ყველი აუცილებელი მასალა დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც საჭიროა ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე განთავსებული შენობების დემონტაჟისათვის, მათ შორის, შეათანხმოს მიიღოს თანხმობა ადმინისტრაციული ორგანოებისგან შესაბამისი ქმედების განსახორციელებლად. აღნიშნული დავალების შესასრულებლად განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება. არავინ არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ მინდობილი პირის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მისი უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებლია **შპს ბევრილი ჯგუფის** კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

2. **მას უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირებს.**

3. **მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.**

4. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ დადვანის სანოტარო არქივში და დანართის სახით თან ერთვის:

- ✓ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24059640, 14/05/2024 16:42:20.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 30.00 (ოცდაათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N 507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 5.00 (ხუთი) ლარი თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის და დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსისა - მუხლი 166. **სულ გადახდილია: 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.**

შპს ბევრილი ჯგუფის დირექტორი ---------- ნოდარ ფერცულიანი

ნოტარიუსი ---------- თამარ დადვანი